გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 24

2024 წლის 9 თებერვალი
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

2024 წლის 15 იანვარს შემოსულია მერის ინიციატივა ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის - უსახელო ქუჩისთვის ცნობილი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის იოსებ ალიმბარაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. გეოგრაფიული ობიექტის აღწერა შემდეგია: ქუჩის მონაკვეთის სავარაუდო სიგრძე 227 მ. კოორდინატები: საწყისი - X=426534.0157 Y=4647490.7477; საბოლოო - X=426622.8861; Y=4647302.9256. გზას ჩრდილოეთით ესაზღვრება: ძმები რომელაშვილების ქუჩა, სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთები 66.45.31.599, აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები - 66.45.31.594 66.45.31.349, დასავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები - 66.45.31.499 66.45.31.498 66.45.31.497.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. იოსებ ალიმბარაშვილის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. იმის გათვალისწინებით, რომ იოსებ ალიმბარაშვილი არის არაერთი წარმატებული ნაშრომის ავტორი და მისი სახელი უკავშირდება არაერთი წარმატებული ახალგაზრდის აღზრდას, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იოსებ ალიმბარაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით, ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის - ქუჩისთვის იოსებ ალიმბარაშვილის სახელის მისანიჭებლად.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**